



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივეტილება
ქ. თბილისი



MES 1 22 0001003864



05/09/2022

შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2022 წლის 30 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №924080) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის № 844995 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2022 წლის 01 სექტემბერს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის (ს/კ: 211358449) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №924080)

2. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 05 სექტემბრის №1003831 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
თავმჯდომარე
ლევია ზორის

